MES 0 23 0001772814

27/12/2023

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 13. 12. 2023
სხდომის დაწყების დრო: 14:10 სთ
სხდომის დასრულების დრო: 20:25 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: რატი რატიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27[2]-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **გოდერძი ბუჩაშვილი -** შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ს" ვიცე-რექტორი ადმინისტრაციული მიმართულებით, პროფესორი **- საბჭოს თავმჯდომარე**;
2. **ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი **- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
3. **რატი რატიანი -** შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის" საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლის დოქტორანტი - **საბჭოს მდივანი;**
4. **ნინო ბაქრაძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, კამერული ანსამბლის და კვარტეტის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
5. **ირინე ებრალიძე** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მუსიკის ცენტრის ჯაზის ხელოვნების მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი;
6. **ქეთევან ზურაშვილი -** სსიპ - ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხარისხის განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.
7. **ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი;

8. მარინე მაისურაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი;
9. ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
10. ლევან ნიკოლეიშვილი - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის ეროვნული თავდაცვის აკადემიის მაგისტრატურის უსაფრთხოების კვლევების მიმართულების პროფესორი;
11. მარინა ქავთარაძე - სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი
12. ქეთევან ქუთათელაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
13. ნინო ღაღანიძე - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
14. ლაშა ჩხარტიშვილი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;
15. თინათინ ჭაბუკიანი - სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზიის პროდიუსერი, ხელოვნებათმცოდნეობის დ ო ქ ტ ო რ ი ;
16. მამუკა ხუსკივაძე - სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის სკოლის დირექტორის მოადგილე, ასოცირებულის პროფესორი.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე საბჭოს მოწვეული (შემდგომ ში მოწვეული საბჭო) დამსწრე წევრები:

1. **ივანე აბიათარი** - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის მედიცინისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი და "მედიცინის სკოლის" ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;
2. **ზაზა ავალიანი** - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" მედიცინის კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის აფილირებული პროფესორი;
3. **მაია ბიწკინაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასოცირებული პროფესორი;
4. **მარი ნეგელანტია** - სს „ჩაჩავას კლინიკის" გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;
5. **თამარ ვალიშვილი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის კლინიკური მედიცინის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ამავე უნივერსიტეტის პროფესორი;
6. **ხათუნა ზალდასტანიშვილი** - სსიპ - სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს მომსახურების დეპარტამენტის პროფესიული რეგულირების სამმართველოს უფროსი;
7. **დავით თათოშვილი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტი;
8. **დავით კობეშავიძე** - შპს "იმედის კლინიკის" დირექტორი;
9. **ბიძინა კულუმბეგოვი** - შპს „ალერგიისა და იმუნოლოგიის ცენტრის" კლინიკური განვითარების განყოფილების ხელმძღვანელი, შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მედიცინის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

10. **ნინო ოკრიბელაშვილი** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე, მედიცინის ფაკულტეტის პროფესორი;
11. **ლევან რატიანი** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პირველი საუნივერსიტეტო კლინიკის გენერალური დირექტორი, ამავე უნივერსიტეტის ანესთეზიოლოგიისა და რეანიმატოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
12. **ნათია სხვიტარიძე** - სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის მრჩეველი გლობალური ჯანმრთელობის საკითხებში;
13. **ივანე ჩხაიძე** - კლინიკური პრაქტიკის ეროვნული რეკომენდაციებისა (გაიდლაინები) და დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების, შეფასებისა და დანერგვის ეროვნული საბჭოს წევრი, მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალური საავადმყოფოს სამედიცინო დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პედიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
14. **შორენა წიკლაური** - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სიმულაციური ცენტრის ხელმძღვანელი;
15. **ნინო შარიქაძე** - შპს "ონკოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ცენტრის" კლინიკური ონკოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი;
16. **ეკა ეკალაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომ ადგენლები

სახელი, გვარი	**სტატუსი**
ანა ლელაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
ნინო ღაჭავა	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თორნიკე ბაქაქური	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	**სახელი, გვარი**	**საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება**	**სტატუსი**	**საკითხი**
1	ერმილე მესხია	**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი**	უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი	**I**
2	ქეთევან ვაჩეიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**I**
3	ხათუნა მანაგაძე			**I**

			პროგრამის ხელმძღვანელი, მუსიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	
4	თეა კორძაძე	**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი**	ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
5	პაატა გერაძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**II**
6	ომარ კიკვიძე		საინჟინრო ტექნიკური ფაკულტეტის დეკანი	**II**
7	არჩილ ჯანგირაშვილი	**შპს საქართველოს უნივერსიტეტი**	ხარიხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	**III**
8	თინათინ ღუდუშაური		ხელოვნებისა და ჰუმანიტარული სკოლის დირექტორი	**III**
9	რევაზ ტაბატაძე		ხელოვნებისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ინგლისურენოვანი პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი	**III**
10	მაია ჩხეიძე		პროგრამის ხელმძღვანელი	**III**
11	სოფიობერიძე	**შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი**	რექტორი	**IV**
12	ჯემალ ანანიძე		რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით	**IV**
13	ნინო გორგილაძე		რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით	**IV**
14	ხათუნა ვარშანიძე		რექტორის მოადგილე კლინიკური ბაზებისა და სასწავლო რესურსების მართვის მიმართულებით	**IV**
15	ჟუჟუნა გუმბარიძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
16	მიხეილ ართმელაძე		უნივერსიტეტის დამფუძნებელი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ელექტრონული საშუალებით მონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	რიმა პავილიონიენე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	თამარ ჩხეიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3		(ჩაერთო „ზუმით“)	I

	რუსუდან თაყაიშვილი		
4	თამთა ცხოვრებაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
5	მარიამ გორგოძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ირმა ღარიბაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	თამარ გვიანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	დავით ტეფნაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნინო ჯოჯუა	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	აზიმ მირზაზადეჰი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
11	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
12	თამარ გოდერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
13	ლუკა აბაშიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, გოდერძი ბუჩაშვილმა.
სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;
4. შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. **პირველი საკითხი:** სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამუსიკო ხელოვნება Musical Arts
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	05.12.2018, N190
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამუსიკო შემსრულებლობა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამუსიკო ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში Bachelor of Musical Arts in Performing Arts
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0215 მუსიკა და საშემსრულებლო ხელოვნება
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. ბათუმი, 6010, ლუკა ასათიანის ქ.№37
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა ერმილე მესხიამ.
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა

დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, რიმა პავილიონიენემ განაცხადა, რომ შეფასების პროცესი გახლდათ საკმაოდ კარგი გამოცდილება, როგორც მისთვის ასევე ექსპერტთა ჯგუფის წევრებისათვის. მათ მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების უმეტესობა გაზიარებული იქნა დაწესებულების მიერ. საკითხები რომლებზეც გამახვილდა ყურადღება და რომლებიც ვიზიტის შემდგომ დაწესებულების მიერ მიღებული იქნა მხედველობაში ეხებოდა უცხო ენაში ლექციების და საათების დამატებას, ასევე ექსპერტების მოსაზრებით დაწესებულებას უნდა დაეჩქარებინა ინტერნაციონალიზაციის პროცესი და გამოეყენებინა ერასმუს + -ის გაცვლითი პროგრამები, რაც სტუდენტებს მისცემდა ფართო შესაძლებლობებს. ასევე რეკომენდებული იყო საერთაშორისო საბიბლიოთეკო ბაზებზე წვდომის შესაძლებლობის გაზრდა, რაც ხელს შეუწყობდა პროგრამის განვითარებას. ექსპერტმა დაამატა, რომ შეფასების პროცესში არ დაფიქსირებულა მნიშვნელოვანი ხარვეზები და პროგრამა შეფასდა დამაკმაყოფილებლად.
საერთაშორისო ექსპერტმა, რიმა ვალიონიენემ მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და ასევე საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლებს იმისათვის, რომ მათ კარგად შეისწავლეს დასკვნა და გაითვალისწინეს მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები. მისი მოსაზრებით შეფასების პროცესი ხელს შეუწყობდა პროგრამის სამომავლო გაუმჯობესებას.
ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების წარმოომადგენლები აცნობიერებდნენ, რომ შეფასება იყო განმავითარებელი, შესაბამისად მათი მხრიდან კოლეგიალობის და ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების და რჩევების გათვალისწინების მზაობის დონე იყო მაღალი.
ექსპერტმა, რუსუდან თაყაიშვილმა განაცხადა, რომ აღნიშნული პროგრამის არსებობა მნიშვნელოვანი იყო რეგიონისათვის და ქვეყნისათვის, რაც უზრუნველყოფდა დასავლეთ საქართველოში სამუსიკო ხელოვნების დარგში პროფესიონალი კადრების აღზრდას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა მანაგაძემ აღნიშნა, რომ შეფასების პროცესი იყო სასარგებლო პროგრამისათვის, ვინაიდან პროგრამის ხელმძღვანელის, საინიციატივო ჯგუფის და აკადემიური პერსონალის მიერ გათვალისწინებული იქნა ცალკეული დეტალები რომლებზეც გამახვილდა ყურადღება ექსპერტებთან კომუნიკაციის პროცესში. გაცემული რეკომენდაციების შედეგად მათ მიერ უკვე განხორციელდა გარკვეული ცვლილებები.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ირინე ებრალიძემ განაცხადა, რომ მას ჰქონდა კითხვა შემოქმედებით ტურთან დაკავშირებით. პროგრამის სასწავლო გეგმის შეფასების კრიტერიუმებში, რომელიც უკავშირდებოდა აკადემიურ სიმღერას წარმოდგენილი იყო კრიტერიუმი მუსიკალობა. მას აინტერესებდა როგორ ფასდებოდა შემოქმედებითი ტურის ფარგლებში მუსიკალობა, რაში გამოიხატებოდა მისაღებ გამოცდაზე მუსიკალობა და რა უნდა გამოემჟღავნებინა აბიტურიენტს. ასევე სასწავლო გეგმაში წარმოდგენილი იყო შეფასების კრიტერიუმი - ტექნიკური სირთულე და აღნიშნულ შემთხვევაშიც მას აინტერესებდა თუ რა იგულისხმებოდა

ტექნიკურ სირთულეში. რაც შეეხებოდა კრიტერიუმს - სცენიურობა, საინტერესო იყო დაწესებულების განმარტება მისაღები შემოქმედებითი ტურის პირობებში რა უნდა გამოემჟღავნებინა აბიტურიენტს იმისათვის, რომ გამოვლენილი ყოფილიყო მისი სცენიურობა და ნიჭი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა მანაგაძემ განაცხადა, რომ ტექნიკურ სირთულეში იგულისხმებოდა კონკრეტულ ნაწარმოებში მოცემული ტექნიკური სირთულეების დაძლევა. რაც შეეხებოდა მუსიკალობას, აღნიშნული ტერმინი ატარებდა ფართო შინაარს და მისი მოსაზრებით საჭიროებდა დაკონკრეტებას. შესაბამისად, დაწესებულება უზრუნველყოფდა აღნიშნული ტერმინის კორექტირებას. რაც შეეხებოდა სცენიურობას, აბიტურიენტს არ მოეთხოვნებოდა სამსახიობო ოსტატობა და ამ შემთხვევაში იგულისხმებოდა ზოგადი სასცენო უნარების გამოვლენა.
საბჭოს წევრმა, ნინო ბაქრაძემ განაცხადა, რომ მას სურდა მოესმინა ექსპერტების განმარტება 2.4 კომპონენტში წარმოდგენილ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა მსგავსებათა დასაშვები კოეფიციენტის დადგენას. ის გაეცნო პროგრამასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას და სილაბუსებში ვერ მოიძია რეფერატის მოთხოვნა, შესაბამისად მას აინტერესებდა რამ განაპირობა რეკომენდაციის გაცემა. ასევე მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა ბიბლიოთეკაში ელექტრონული ბაზების დამატებას და წარმოდგენილი იყო ჩამონათვალი. მას სურდა მოესმინა დამაზუსტებელი განმარტება აღნიშნული ბაზების დამატება აუცილებელი იყო ერთდროულად თუ დაწესებულებას შეეძლო ეტაპობრივად განეხროციელებინა პროცესი. ასევე მას ჰქონდა კითხვა პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებითაც, მან გადახედა საფორტეპიანო მიმართულების სილაბუსს, სადაც შემოქმედებით ტურში არ იყო გაწერილი რეპერტუარი. მას სურდა მოესმინა ექსპერტების პოზიცია შესწავლილ იქნა თუ არა შეფასების პროცესში რეპერტუარი რომელიც სრულდებოდა გამოცდის დროს.
ექსპერტმა, თამარ ჩხეიძემ განაცხადა, რომ ექსპერთა ჯგუფის რეკომენდაციაში მოცემული იყო ბაზების ჩამონათვალი, რომელზეც ერთობლივად წვდომის ვალდებულება დაწესებულებას არ ჰქონდა. მათ ეტაპობრივად შეეძლოთ აღნიშნულ სამეცნიერო ბაზებთან ხელშეკრულების გაფორმება და სასწავლო პროცესში გამოყენება. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას აკადემიური კეთილსინდიდიერების დაცვასთან დაკავშირებით, ექსპერტებმა გაითვალისწინეს დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია და გამომდინარე იქედან რომ პროგრამა იყო საშემსრულებლო მიმართულება მითითებული პროცენტულობის არსებობის აუცილებლობა შესაძლოა არ ყოფილიყო რელევანტური. რაც შეეხებოდა შემოქმედებითი ტურის საშემსრულებლო მოთხოვნებს, ექსპერტები გაეცნენ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ რეპერტუარს და საფორტეპიანო მიმართულებაზე ვრცელდებოდა საქართველოში დადგენილი მოთხოვნები. სილაბუსებში ვერ მოხდებოდა სასწავლო მასალის იმგვარად გაწერა, როგორც აღნიშნული ხორციელდებოდა თეორიულ კურსებში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციის გათვალისწინების შემდეგ დაწესებულების მიერ გამოიგზავნა მასალა სადაც გაერთიანებული იყო საკონტაქტო საათების შესაბამისი მუშაობა და სარეპერტუარო მოთხოვნები, რომელიც მანამდე არ იყო ინტეგრირებული სილაბუსებში. თუმცა, გამომდინარე იქედან რომ ექსპერტთა ჯგუფი ვერ ითვალისწინებდა ვიზიტის შემდგომ განხორციელებულ ცვლილებებს, არსებული რეკომენდაცია დასკვნაში დარჩა უცვლელი.
ექსპერტმა, მარიამ გორგოძემ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ გაცემული რეკომენდაციის მიზანი გახლდათ არსებული მექანიზმის სრულყოფა, ვინაიდან არსებული ჩანაწერი ვერ უზრუნველყოფდა მექანიზმის გამჭვირვალობას. რაც შეეხებოდა პროგრამის სპეციფიკას, შინაარსობრივად გარკვეულწილად შეთავაზებული იყო თეორიული კურსებიც და ამიტომ მოხდა რეკომენდაციის ჩამოყალიბება. თუმცა, დაწესებულების არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდგომ გათვალისწინებული იქნა სასწავლო კურსების სპეციფიკა და განხორციელდა რეკომენდაციის ფორმულირება რჩევის სახით.

საბჭოს წევრმა, ნინო ბაქრაძემ განაცხადა, რომ მან ვერ მოიძია ვებ გვერდზე რეპერტუარი და მას სურდა მოესმინა დაწესებულების პოზიცია რეპერტუარში ეტიუდის მიმართულებასთან დაკავშირებით. ასევე, მას სურდა მოესმინა განმარტება გასაჩივრების პროცესში პედაგოგის ჩართულობასთან დაკავშირებით გაცემულ რეკომენდაციაზე და სასწავლო პროცესში კორპორატიული ელექტრონული ფოსტის გამოყენების შესახებ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ხათუნა მანაგაძემ განაცხადა, რომ მისაღები გამოცდის შემდგომ რეპერტუარი იხსნებოდა ვებ გვერდიდან და მისი გამოქვეყნება ხდებოდა მაშინ როდესაც ცხადდებოდა მიღება. რეპერტუარში წარმოდგენილი იყო კონტრასტული ეტიუდები, აბიტურიენტები უკრავდნენ პოლიფონიას, დიბი ფორმას და პიესას. ასევე რეპერტუარში კონკრეტულად იყო მითითებული თუ რომელი ეტიუდის დაკვრა არ შეიძლებოდა გამოცდაზე. მან ასევე საბჭოს წევრებს გააცნო წინა წლის რეპერტუარის კონკრეტული ჩამონათვალი კომპოზიტორების და ნაწარმოებების მითითებით. რაც შეეხებოდა გასაჩივრების პროცედურას, პროცესში არასდროს არ მონაწილეობდა პედაგოგი რომლის შეფასების გასაჩივრებაც ხდებოდა. ასევე დაწესებულება ყოველთვის ცდილობდა ჩაეწერა გამოცდა ვიდეოფირზე გასაჩივრების შემთხვევაში ჩანაწერის მტკიცებულებად გამოყენების მიზნით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ აღნიშნული შეიქმნა ავტორიზაციის შეფასების განხორციელებამდე, მიმდინარე ეტაპზე ხდებოდა ტექნიკური განახლება და აღნიშნული ელექტრონული ფოსტა ჰქონდა დაწესებულებაში დასაქმებულ ყველა პირს. ასევე ზოგიერთი თანამშრომელი სარგებლობდა სხვა ელექტრონული ფოსტითაც.
ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ღაჭავამ განაცხადა, რომ დაწესებულებამ საგანმანათლებლო პროგრამა სააკრედიტაციოდ წარმოადგინა 2023 წლის 1 მაისს, მითითებული დროისათვის პროგრამაში განსაზღვრული კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო კლასიფიკატორთან. 2023 წლის ივლისში კლასიფიკატორში განხორციელდა ცვლილებები, რაც გულისხმობდა ხელოვნების მიმართულებით რიგი კვალიფიკაციების დაზუსტებას. აღნიშნული პროცესიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ საბოლოო დასკვნის ფორმირებამდე დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა წერილი, რომლის თანახმად პროგრამის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყო თუმცა შეცვლილი იყო პროგრამის დასახელება. პროგრამის ახალი დასახელება გახლდათ „სამუსიკო ხელოვნება“ .
დაწესებულების წარმომადგენელმა, ქეთევან ვაჩეიშვილმა განაცხადა, რომ პროგრამის სათაურის ცვლილებას არ გამოუწვევია არსებითი ცვლილებები, დაწესებულება შეეცადა პროგრამის დასახელება შესაბამისობაში ყოფილიყო სტანდარტის მოთხოვნებთან. პროგრამის არსებული კვალიფიკაცია გახლდათ „ხელოვნების ბაკალავრი საშემსრულებლო ხელოვნებაში“.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 14:43
დასრულების დრო: 15:21

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0

სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 2.1 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვენბთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-2 სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვენებთან“, 4.1. კომპონენტის შეაფასება ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განისაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-4 სტანდარტის შეფასება და განისაზღვრა, როგორც „შესაბამისია მოთხოვენებთან“,

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო ხელოვნების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია არჩევითი კრედიტების მოცულობის გაზრდა, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს გააკეთონ სათანადო არჩევანი, რათა გააფართოვონ თავიანთი ცოდნა მათივე ინტერესის სფეროში. ამ მხრივ, რეკომენდებულია არჩევითი კურსების სიის გაფართოება და საჭირო არჩევითი კურსების რაოდენობის გაზრდა მინიმუმ 3 კურსამდე/15 კრედიტამდე;
- რეკომენდებულია სილაბუსების შემოწმება და გადახედვა , მოდულის თითოეული სემესტრის სწავლის შედეგებისა და სასწავლო რეპერტუარის მითითების მიზნით იმ კომპონენტებში, რომლებიც ორიენტირებულია სტუდენტების შემოქმედებითი-საშემსრულებლო უნარების განვითარებაზე (პროგრამის ყველა სპეციალობის მოდული, საკონცერტმაისტერო (Correpetitoire) კლასის მოდული, კამერული ანსამბლის კლასი, კამერული სიმღერის მოდული, საოპერო კლასის მოდული, საოპერო სტუდიის მოდული, საოპერო გუნდის მოდული და სხვა);
- რეკომენდებულია, გადაიხედოს სასწავლო კურსის „აკადემიური გუნდის დირიჟორობის“ შინაარსი და განიხილოთ სწავლების მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული საკითხები და საბავშვო/ახალგაზრდული რეპერტუარი, ან ბავშვთა გუნდთან მუშაობის მეთოდოლოგია;
- უცხო ენების ცოდნის გაძლიერების მოთხოვნიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე, რეკომენდებულია სასწავლო გეგმის გადახედვა , რათა სტუდენტებს მე-2 კურსზე მიეცეთ უცხო ენის შესწავლის შესაძლებლობა, მაგალითად არჩევითი კურსის სახით
- რეკომენდებულია გაძლიერდეს პირველი სემესტრის (სპეციალობის მოდული ფორტეპიანო) რეპერტუარი;

- რეკომენდებულია პროგრამის სილაბუსების გადახედვა, რათა თითოეული მათგანი შეიცავდეს სრულ ინფორმაციას შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და რომ შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები იყოს დეტალური და გამჭვირვალე;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს სტუდენტები საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის სათანადო შესაძლებლობებით. აქედან გამომდინარე, მიზანშეწონილია დაჩქარდეს სტუდენტთა ისეთი გაცვლითი საერთაშორისო პროგრამების დანერგვის პროცესი, როგორიცაა Erasmus+, რაც სტუდენტებს უფრო მეტ შესაძლებლობას მისცემს განავითარონ თავიანთი უნარები და პროფესიონალიზმი უფრო ფართო კონტექსტში;
- დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომა BATU-ს შენობის გარედან;
- საერთაშორისო მონაცემთა ბაზების გამოყენების ინსტრუქცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს დაინტერესებული მხარისთვის;
- პროგრამის შემდგომი განვითარებისთვის რეკომენდებულია ადგილობრივი და საერთაშორისო გამოცდილების, არსებული საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინება;

რჩევები:

- არჩევითი კურსის კრედიტების მოცულობის გაზრდის მიზნით საჭირო იქნება სხვა კურსების კრედიტების შემცირება. მიზანშეწონილია მოიძიოთ 5-დან 10 კრედიტამდე ძირითად სავალდებულო კურსებს შორის (რომელიც ამჟამად შედგება 180 კრედიტისგან);
- სასურველია სტუდენტების უფრო აქტიურად ჩართვა სამომავლო აკრედიტაციის პროცესებში;
- კულტურის სფეროს შრომის ბაზრისა და კულტურის ეკონომიკაში მიმდინარე პროცესებზე რეაგირების მიზნით, სასურველია პროგრამის სასწავლო გეგმის გადახედვა და გამდიდრება ისეთი კურსებით, რაც საშუალებას იძლევა, სტუდენტმა მიიღოს კულტურის გარემოს მიმოხილვის, პროექტთა გამოყენებისა და მართვის სისტემების საფუძვლები და ცოდნა, ასევე სხვადასხვა პროფილების საბაზისო ცოდნა კულტურულ დაწესებულებებში სამუშაოდ და ა.შ;
- აკადემიური სიმღერის შემოქმედებითი ტურის შეფასების კრიტერიუმები გადაიხედოს და დაკონკრეტდეს;
- სასურველია, მოწვეულ სპეციალისტებთან უფრო ხშირი და მრავალფეროვანი მასტერკლასების მოწყობა და ორგანიზება;
- მოხდეს სტუდენტების წახალისება, რომ უფრო აქტიურად გამოიყენონ და შეისწავლონ საერთაშორისოდ აღიარებული სპექტაკლების, სხვადასხვა მუსიკოსების აუდიო/ვიდეო მასალა, რომლებზეც წვდომა შესაძლებელია კონკრეტული ციფრული მონაცემთა ბაზებით;
- სასურველია, სწავლების მეთოდების გაფართოება კამერული ანსამბლისა და სასულე ინსტრუმენტების ანსამბლის კურსების სილაბუსებში, მაგ., ახსნაგანმარტებითი, საჩვენებელი, პრაქტიკული, გუნდური მუშაობის მეთოდების დამატება;
- აკადემიური კეთილსინდისიერებისა და პლაგიატის პრევენციის შესახებ არსებულ რეგულაციებში სასურველია მსგავსებათა დასაშვები კოეფიციენტის ლიმიტის დადგენა;
- სტუდენტებისთვის მეტი პრაქტიკული გამოცდილებისა და შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობის დამატებითი შესაძლებლობების მინიჭების მიზნით, სასურველია პარტნიორი ორგანიზაციების რაოდენობის გაზრდა;
- დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი უკუკავშირის ფუნდამენტურად შესწავლის უზრუნველსაყოფად, სასურველია კვლევის შედეგების სისტემატიური და ინდივიდუალური გაანალიზება თითოეული მხარისთვის;

- მიზანშეწონილია გადაიხედოს მასწავლებელთა სამუშაო საათების განაწილება, რათა თავიდან იქნას აცილებული თანასწორი უფლებების დისკრიმინაციის ნიშნები. არსებული მოთხოვნების შესაბამისად უნდა აღმოიფხვრას სხვადასხვა საშტატო თანამდებობაზე საათების სხვადასხვა რაოდენობის დისბალანსი;
- პროგრამის განმახორციელებელ პერსონალში მეტი ახალი პროფესიონალების მოწვევა უდავოდ შექმნის პერსონალის განახლების თანმიმდევრულ და გონივრულ სტრატეგიას, სხვადასხვა თაობის და პროფესიონალიზმის დონის თანამშრომლობას და გააძლიერებს კვლევით/მხატვრულ საქმიანობას;
- დაწესებულებამ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს აკადემიური პერსონალის ახალი წევრების დაწინაურებასა და მოზიდვას;
- მიზანშეწონილია, შემოწმდეს დასაქმებულთა მონაცემები (CV), რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს თანმიმდევრული ფორმით;
- სასურველია პროგრამის პერსონალის მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება, საერთაშორისო გაცვლითი პროექტების, როგორიცაა Erasmus+ უფრო აქტიურად გამოყენება;
- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშაოს CV- ს შაბლონი, რომელშიც იქნება ერთი დამოუკიდებელი ველი შემოქმედებითი საქმიანობისთვის, რომელიც ფაქტობრივად შეესატყვისება სამეცნიერო მუშაობისა და საქმიანობის დადგენილ კრიტერიუმებს; ამ ველს შეიძლება ეწოდოს „მხატვრული ნამუშევრების სია“ ქვესექციის ჩათვლით;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე, რომლებიც აქტუალურია "მუსიკის საშემსრულებლო" პროგრამისთვის, როგორიცაა RILM, RISM, ისევე როგორც ProQuest Ebook Central, JSTORE Music Collection, EBRARY COLLECTION, Naxos Music Library, “Music and Dance Online” (ProQuest), Medici TV EDU, Bloomsbury ვიდეო ბიბლიოთეკა, MGG Online, Taylor & Francis Online და ა.შ;
- სასურველია პროგრამის სტუდენტებისთვის მეტი აუდიტორიის უზრუნველყოფა, ხმის იზოლაციით და კარგი აკუსტიკით, რათა მათ შეუფერხებლად შეძლონ მეცადინეობა;
- სასურველია, ბიბლიოთეკაში სავალდებულო ლიტერატურის მეტი ასლის შეძენა და დამატება (მათ შორის სასწავლო კურსის სილაბუსებში მოცემული ლიტერატურის);
- სასურველია ბიბლიოთეკის ქართულენოვანი ლიტერატურით გამდიდრება.

2. მეორე საკითხი: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერისტეტის "მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მშენებლობა Construction
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	პირობით აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	14.12.2021, №1365959
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	მშენებლობა Construction

6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	მშენებლობის ინჟინერიის მაგისტრი Master in Construction Engineering
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0732 მშენებლობა და სამოქალაქო ინჟინერია 0732 Building and Civil Engineering
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.ქუთაისი, 4600, თამარ მეფის ქ.№59
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 10 ოქტომბერს. ვიზიტის ფარგლებში შედგა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პირებთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. ვიზიტი წარიმართა კონსტრუქციულ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა აღნიშნეს საუკეთესო პრაქტიკა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ინგლისურენოვანი სამშენებლო კონსტრუქციების კონცენტრაცია, საშუალებას აძლევდა სტუდენტებს ერთი წლის მანძილზე გაეგრძელებინათ სწავლა იტალიაში ერთ-ერთ უნივერსიტეტში, რომელთანაც დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული ხელშეკრულება. სტუდენტები აღნიშნული პერიოდის განმავლობაში შეისწავლიდნენ რვა სასწავლო კურსს

ინგლისურ ენაზე. რაც შეეხებოდა დიპლომის დაცვას, აღნიშნული პროცესი შესაძლებელი იყო განხორციელებულიყო როგორც სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ასევე იტალიაში, ლა ქუილას უნივერსიტეტში ან დისტანციურ რეჟიმში.
ექსპერტმა, ირმა ღარიბაშვილმა პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შეფასებულ იქნა მეტწილი შესაბამისობით, ხოლო დანარჩენი სტანდარტები შესაბამისობაში იყო მოთხოვნებთან. მან საბჭოს წევრებს გააცნო დასკვნაში ასახული რეკომენდაციები და განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის მიუხედავად ექსპერტთა ჯგუფმა უცვლელად დატოვა დასკვნაში წარმოდგენილი ხუთი რეკომენდაცია.
რეკომენდებული იყო ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში სტუდენტების ჩართულობის გაზრდა.
რეკომენდებული იყო სასწავლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, ახალგაზრდა აკადემიური პერსონალი სასწრაფოდ ჩართულიყო ხელმძღვანელობის პროცესში, რათა დანერგილიყო ახალი თაობის „მრეწველობა 4.0-თან“ დაკავშირებული მეტი თემა. საჭირო იქნებოდა ფაკულტეტის სამოქმედო გეგმა.
პროგრამა არ იყო საკმარისად დაფინანსებული. სამოქალაქო ინჟინერიის სწავლა ყოველთვის იყო ძვირადღირებული და მოითხოვდა კარგ დაფინანსებას შესაბამისი ობიექტებისა და აკადემიური სასწავლო გარემოს შესაქმნელად. თვითშეფასების ანგარიში არ იძლეოდა მკაფიო მტკიცებულებას იმის თაობაზე, რომ სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელებს ამჟამად ჰქონდათ შესაბამისი რესურსები. სამშენებლო სექტორის დაინტერესებულ მხარეებთან/ დამსაქმებლებთან/მეწარმეებთან თანამშრომლობით უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხელმძღვანელობას სასწრაფოდ უნდა მოეგვარებინა აღნიშნული საკითხი, რათა უზრუნველეყო სამშენებლო საქმის სწავლების გრძელვადიანი ხარისხი დაწესებულებაში.
რეკომენდებული იყო პროგრამის ყოვლისმომცველი შეფასება - პროგრამის მდგრადობის განმსაზღვრელი ყველა ასპექტის შესწავლა, პროგრამის რესურსების მოვლა-პატრონობის, განახლებისა და განვითარებისათვის საჭირო ფინანსური მხარდაჭერის წინასწარი განსაზღვრის ჩათვლით.
აუცილებელი იყო 2021 წელს მიღებული რეკომენდაციების განხორციელება, რომლებიც ჯერ არ იყო განხორციელებული ან განხორციელებული იყო ნაწილობრივ და ამავდროულად იყო კვლავ აქტიური.
ექსპერტმა, თამარ გვიანიშვილმა განაცხადა, რომ 2021 წელს გაცემული იყო საკმაოდ ბევრი რეკომენდაცია, ვინაიდან განხორციელდა პროგრამის ტიტულის მოდიფიცირება გარკვეული რეკომენდაციები აღარ იყო აქტუალური. რეკომენდაციების საფუძველს წარმოადგენდა შეუსაბამობები სასწავლო გეგმაში და სილაბუსებში წარმოდგენილი ინფორმაცია. ასევე არგუმენტირებული პოზიციის შესახებ წერილში დაწესებულებამ არ წარმოადგინა ინფორმაცია კვლევით პროექტებში და სხვადასხვა სამეცნიერო აქტივობებში აკადემიური პერსონალის ჩართულობის შესახებ, რაც ასევე წარმოადგენდა 2021 წელს გაცემულ რეკომენდაციას.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, თეა კორძაძემ განაცხადა, რომ მათთვის მნიშვნელოვანი იყო ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები, მათ შორის ფინანსური მდგრადობის შესახებ გაცემული რეკომენდაცია, უნივერსიტეტი მაქსიმალურად ხელს უწყობდა თითოეული პროგრამის განვითარებას, ცნობილი იყო რომ, საინჟინრო მიმართულებებისათვის 2250 ლარი არ იყო საკმარისი, ამიტომ დაწესებულება ითვალისწინებს სხვა შემოსავლებს. მიმდინარე ეტაპისათვის დაგეგმილი იყო ტექნიკური ბაზის განახლება და გაძლიერება, იგეგმებოდა ახალი კადრების მოზიდვა და განახლება.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გერაძემ 2.2 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და საერთაშორისო

კონფერენციებში განაცხადა, რომ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებისათვის უნივერსიტეტში ყოველწლიურად იმართებოდა სტუდენტური კონფერენციები. კვალიფიკაციების მეშვიდე დონის აღმწერის თანახმად, მაგისტრატურის საფეხურის სტუდენტის მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში არ იყო სავალდებულო, თუმცა გამონაკლისის სახით ექსპერტების მიერ აღინიშნა, რომ მათ ჰყავდათ ზოგიერთი სტუდენტი და კურსდამთავრებული, რომელთაც სტუდენტობის დროს გამოქვეყნებული ჰქონდათ ნაშრომები საერთაშორისო კონფერენციებზე. რაც შეეხებოდა სტუდენტების პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას, უნივერსიტეტში ხორციელდებოდა შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტები, რომლის ფარგლებში მათი სამაგისტრო პროგრამის ოთხ სტუდენტს შექმნილი ჰქონდათ „მწვანე კორპუსის“ პროექტი და მაკეტი და ამ პროექტის ფარგლებში ხდებოდა მათი სამაგისტრო კვლევების წარმართვაც. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას პროგრამაში ახალი თაობის აკადემიური პერსონალის ჩართვასთან დაკავშირებით, რეკომენდაციის თანახმად იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს უნივერსიტეტში იყო ახალი თაობის პერსონალი, რომელიც არ იყო ჩართული პროგრამის განხორციელებაში. სამწუხაროდ მიმდინარე ეტაპზე ფაკულტეტს არ ჰყავდა ასეთი ახალგაზრდა პერსონალი, თუმცა აღნიშნული მიმართულებით განსაზღვრული იყო სამოქმედო გეგმა, სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ სადოქტორო პროგრამებზე და მათ ჰქონდათ იმედი, რომ უახლოეს მომავალში ფაკულტეტს შეემატებოდა ახალი კადრები. ასევე საინჟინრო ფაკულტეტი ჩართული იყო „ერასმუს +“ - ის პროექტში სახელწოდებით „ საქართველოს და უკრაინის უნივერსიტეტების როლის გაძლიერება ინდუსტრიულ ტრანსფორმაციაში ინდუსტრილი პარადიგმა 4.0 - ის მეშვეობით. პროექტში მონაწილეობდნენ მშენებლობის სამაგისტრო პროგრამის კურსდამთვარებულები და სტუდენტები, დამსაქმებლები და აკადემიური პერსონალი. მიმდინარე წლის ნოემბერში, ფაკულტეტის დეკანის ხელმძღვანელობით ჩატარდა მრგვალი მაგიდა „ინდუსტრიული პარადიგმა 4.0 ჭკვიანი ტექნოლოგიები“. პროგრამის სტუდენტებისათვის დაიგეგმა ახალი არჩევითი კურსი „ჭკვიანი სახლის“ დამუშავება, რომელიც მზად იქნებოდა ახალი აკრედიტაციისათვის. რაც შეეხებოდა ახალი აქტუალური თემატიკის წამოწევას, როგორიც იყო მაგალითად დიჯიტალიზაცია, პროგრამა მოიცავდა სასწავლო კურსებს, რომლებიც ეხმიანებოდა აღნიშნულ გამოწვევებს და მოიცავდნენ მშენებლობის ინფორმაციული მოდელირების საკითხებს. ასევე პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა სხვადასხვა დარგისათვის რელევანტური კომპიუტერული პროგრამები. ასევე უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობა ხელს უწყობდა თანამედროვე ტენდენციებზე მეტი ყურადღების გამახვილებას. რაც შეეხებოდა პროგრამის ფინანსურ მდგრადომას, მიმდინარე ეტაპისათვის პროგრამა იყო თვითკმარი, თუმცა პერსონალი მუდმივად მუშაობდა იმისათვის რომ საგრანტო და დონორ პოტენციურ ორგანიზაციებთან პროექტების განხორციელებით მოეპოვებინათ დაფინანსება პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხებოდა წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულებას, დასკვნის აღწერილობით ნაწილში მითითებული იყო, რომ რეკომენდაციების ნაწილი დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იყო, თუმცა ყურადღება უნდა გამახვილებულიყო ორ რეკომენდაციაზე, პირველი ეხებოდა აკადემიური პერსონალის მხარდაჭერას, აღსანიშნავი იყო, რომ უნივერსიტეტი აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის იყინებდა ტრენინგებს, უცხო ენის შემსწავლელ უფასო კურსებს, ანაზღაურებად სამეცნიერო შვებულებას, უნივერსიტეტის მიერ გამოცემულ რეფერირებად ჟურნალში კვლევების გამოქვეყნებას და ა.შ. რაც შეეხებოდა სასწავლო კურსების „მშენებლობის ტექნიკური ექსპერტიზა“ და „კომპიუტერული მოდელირება მშენებლობაში“ დაშვების წინაპირობებს, ფიქსირდებოდა პროგრამის მოდიფიცირების პროცესში დარჩენილი მცირე ტექნიკური ხარვეზები, რომლიც გათვალისწინებული იყო და ცვლილებები განხორციელდა პროგრამაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ომარ კიკვიძემ განაცხადა, რომ დაწესებულების მონდომებით და ძალისხმევით შესაძლებელი იყო სტუდენტების ერთი წლით გაგზავნა იტალიაში, სასწავლო პროცესს სრულად აფინანსებდა იტალიის მხარე. ასევე აღსანიშნავი იყო,

რომ ოთხი აკადემიური პერსონალის ინგლისური ენის სწავლებას სრულად აფინანსებდა უნივერსიტეტი, ასევე მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნებისათვის გათვალისწინებული იყო ფულადი ჯილდო 2500 ლარი. ასევე აღინიშნა „ერასმუს +“ - ის ფარგლებში განხორციელებული ჭკვიანი ტექნოლოგიების შესახებ პროექტი, რომელმაც მათ საშუალება მისცა გაეძლიერებინათ მატერიალუ-ტექნიკური ბაზა. ჭკვიან ტექნოლოგიებთან დაკავშირებით შექმნილი იყო სტუდენტთა კვლევითი ჯგუფი, რაც ხელს უწყობდა მათ ფაკულტეტზე აღნიშნული მიმართულების ფართოდ დანერგვას. მუდმივად ხორციელდებოდა ლაბორატორიული ბაზის გაძლიერება, ორი წლის წინ შეძენილ იქნა ჩინური მასალების გამომცდელი მანქანა, რომელიც გამოიყენებოდა როგორც სასწავლო ასევე სამეცნიერო კვლევებისათვის. ასევე აღინიშნა, რომ ფაკულტეტი შეეცდებოდა მაქსიმალურად ჩაერთო სტუდენტები როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო კონფერენციებში და სხვადასხვა აქტივობებში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარე, გოგა ბუჩაშვილი დაინტერესდა პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობით და დასაქმების მაჩვენებლით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გერძემ განაცხადა, რომ მიმდინარე ეტაპზე პროგრამაზე ირიცხებოდა 28 სტუდენტი, ხოლო დასაქმების მაჩვენებელი უახლოვდებოდა 100 %-ს.
საბჭოს თავმჯდომარემ, გოგა ბუჩაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს და დაინტერესდა თუ რა პერიოდი დასჭირდებოდათ მათ 2021 წელს გაცემული რეკომენდაციების შესასრულებლად.
დაწესებულების წარმომადგენელმა, პაატა გერაძემ აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა ორი კურსის წინაპირობებს უკვე შესრულებული იყო, ხოლო რაც შეეხებოდა აკადემიური პერსონალის განვითარებისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების უზრუნველყოფას, აღნიშნული მიმართულებით ხორციელდებოდა მუშაობა.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ომარ კიკვიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ტარდებოდა ვორქშოფები საერთაშორისო პროფესორების ჩართულობით, ჩეხეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტიდან მოწვეული იყო პროფესორი, რომელმაც როგორც აკადემიური პერსონალისათვის ასევე სტუდენტებისათვის ჩაატარა სამუშაო შეხვედრები და ლექციები ჰიდრო მშენებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული აქტივობები სრულად იყო დაფინასებული ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 15:52
დასრულების დრო: 16:09

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის კლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 16
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების

შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მშენებლობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით (31/12/2026), ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:
რეკომენდაციები:

- გაიზარდოს სტუდენტების ჩართულობა ადგილობრივ/საერთაშორისო კონფერენციებში, სამეცნიერო პროექტებსა და გრანტებში;
- რეკომენდებულია, საგანამანთლებლო პროგრამაში ახალგაზრდა კადრების ჩართვისა და პროგრამის მდგრადობის მიზნით უნივერსიტეტმა უზრუნველყოს შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- რეკომენდებულია, საგანამანთლებლო პროგრამის ფინანსური მდგრადობის მიზნით უნივერსიტეტმა განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები;
- რეკომენდებულია გამოირიცხოს ინტერესთა კონფლიქტის შესაძლო საფუძველი. კერძოდ, გამოირიცხოს პროგრამაზე პასუხისმგებელი პირის (პროგრამის ხელმძღვანელი) და მოთხოვნებთან შესაბამისობის განსაზღვრაზე პასუხისმგებელი პირის (ხარისხის კონტროლზე პასუხისმგებელი პირის) ფუნქციების თანხვედრა;
- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობის განმსაზღრელი ყველა ასპექტის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;
- უნივერსიტეტმა უზრუნველყოს პროგრამის პირობითი აკრედიტაციისას გაცემული იმ რეკომენდაციების სისრულეში მოყვანა, რომლებიც ნაწილობრივ ამ მეტწილად არის შესრულებული.

რჩევები:

- მიზანშეწონილია სწავლის შედეგების რესტრუქტურიზაცია, რათა ფართო საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით პოტენციური აპლიკანტებისთვის უფრო ნათელი და გასაგები იყოს. მიმდინარე აღწერა ამბიციურია და მოიცავს აკადემიური ცხოვრების ყველა ასპექტს, მაგრამ მასში შეტანილი იდეები არ არის კარგად სტრუქტურირებული და შესაძლოა არ იყოს მიმზიდველი პოტენციური კანდიდატებისთვის.

3. მესამე საკითხი: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინგლისური ფილოლოგია English Philology
2		-

	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	12.07.2022, №794250
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი Master in English Philology
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0231 ინგლისური ფილოლოგია 0231 English Philology
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ.თბილისი, 0171, მერაბ კოსტავას ქ., №77ა; სასწავლო კორპუსი № IV
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
აცილება განაცხადა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნათია-ზედგენიძე-ჯიშკარიანმა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ განაცხადა, რომ არ ჩამოთვლიდა შესრულებულ რეკომენდაციებს და ყურადღებას გაამახვილებდა ორ რეკომენდაციაზე, რომელიც მისი მოსაზრებით ნაწილობრივ

იყო შესრულებული, თუმცა კვლავ საჭიროებდა მუშაობას. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობას, მათ შორის საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის დრო კვლავ უნდა გადაიხედოს და მოდიფიცირდეს. პროგრამის არჩევითი საგნების ბლოკში განხორციელებული იყო მნიშვნელოვანი ცვლილება, რის საფუძველზეც შესაძლებელი გახდა ორი საგნის დამატება. კერძოდ გადახალისდა საგნების ბლოკი და დამეტა ინგლისური ენა C1, C2 და საგანი „ინგლისური ენა პოლიტიკაში“, როგორც ამას მოითხოვდა რეკომენდაცია. აღნიშნული ცვლილება განხორციელდა იმის ხარჯზე, რომ საგნებს „კურიკულუმის განვითარება“ და „განათლების ლიდერობა და მართვა“ შეეცვალათ კრედიტების რაოდენობა. აღსანიშნავი იყო, რომ დასკვნაში განხილული იყო ორი საგნის შედარება რომელიც იწვევდა გაუგებრობას. მაგალითისათვის საგნები „ბიზნესკომუნიკაცია“ და „ლიტერატურის თeორია და კრიტიკა“ წარმოდგენილი იყო 6 კრედიტის მოცულობით. „ბიზნესკომუნიკაციის“ საგნისათვის განკუთვნილი იყო 117 საათი, ხოლო „ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის“ საგნისათვის 103 საათი მაშინ როდესაც ორივე საგანი იყო 6 კრედიტიანი. ლექციის სპეციფიკიდან გამომდინარე „ბიზნესკომუნიკაციის“ საგანში გამოიყენებოდა ისეთი მეთოდები როგორიც იყო ინტერაქციული ვორქშოფები, რომელიც ხორციელდებოდა უშუალოდ კლასში და მოიცავდა 22 კრედიტს, ხოლო რაც შეეხებოდა საგანს „ლიტერატურის თეორია და კრიტიკა“ გათვალისწინებული იყო 36 საათი, მაშინ როდესაც უფრო მეტი წილი ეთმობოდა სტუდენტის მიერ მასალის ათვისებას. აღნიშნულიდან გამომდინარე მისი მოსაზრებით სასურველი იყო საგნების კვლავ გადახედვა, რაც შესაძლებელს გახდიდა კიდევ უფრო მეტად განვითარებულიყო და გამრავალფეროვნებულიყო პროგრამა.
ექსპერტმა, ნინო ჯოჯუამ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კურსების სილაბუსებში მოცემული სწავლის მეთოდების შედეგების განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით სწავლის მეთოდების დიფერენცირებას განაცხადა, რომ აღნიშნული არ ეხებოდა ყველა სილაბუსს თუმცა იკვეთებოდა ცალკეული შემთხვევევბი, როდესაც სწავლების მეთოდად გამოიყენებოდა აქტივობა. ზოგიერთ სილაბუსში გარკვეული აქტივობა ასახული იყო სწავლის შედეგში და არ იყო წარმოდგენილი მეთოდის სახით. შესაბამისად აღნიშნული კუთხით საჭირო იყო სილაბუსების გადახედვა. ექსპერტმა დამატებით განაცხადა, რომ დაწესებულების მხრიდან სერიოზულად იყო აღქმული და გათვალისწინებული რჩევებიც.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრ ებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მაია ჩხეიძემ განაცხადა, რომ მათ ჰქონდათ სრული ღიაობა რეკომენდაციების შესრულების მიმართ, რეკომენდაციების და რჩევების სრული უმრავლესობა გათვალისწინებული იყო. მან ყურადღება გაამახვილა „ბიზნესკომუნიკაციის“ და „ლიტერატურის თეორიისა და კრიტიკის“ საგნების სილაბუსებზე და აღნიშნა, რომ გარკვეულ გაუგებრობას იწვევდა ტექნიკური ხარვეზი, რომელიც ეხებოდა იმას რომ, არ იყო გამიჯნული ძირითადი და დამატებითი ლიტერატურა. ფილოლოგიის სამაგისტრო საფეხურზე როდესაც აბარებდა სტუდენტი, მათთვის უფრო მეტად იყო ნაცნობი ლიტერატურა ვიდრე ბიზნესკომუნიკაცია, თუმცა მონიტორინგის შედეგად განხორციელდა სილაბუსის მოდიფიცირება და აქცენტი გაკეთდა იმ აქტივობებზე, რომლებიც ხორციელდებოდა დამოუკიდებელი სამუშაოს სეგმენტში, დაემატა ექსპერტების მიერ შემოთავაზებული ლიტერატურა და სრულიად იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია. რაც შეეხებოდა დამოუკიდებელი საათების რაოდენობას, ბევრად მეტ აქტივობას მოიცავდა ბიზნესკომუნიკაცია ვიდრე ლიტერატურა, აღნიშნულს ადასტურებდა ლექტორების და სტუდენტების გამოკითხვის შედეგები. მისი მოსაზრებით კურსებისთვის გათვალისწინებული საათები ადეკვატურად იყო გადანაწილებული, კონკრეტულ აქტივობებს ნაკლები დრო სჭირდებოდა ლიტერატურის მიმართულებით, ამიტომ დაწესებულება მიიჩნევდა, რომ მიმდინარე ეტაპზე არ იყო აუცილებელი სილაბუსებში ცვლილებების განხორციელება

ვინაიდან კვლევის შდეგები ადასტურებდა განაწილების ვალიდურობას. რაც შეეხებოდა მეთოდების დიფერენცირებას, ზოგიერთ სილაბუსში არ იყო გამიჯნული მეთოდები. მაგალითად „ბიზნესკომუნიკაციის“ სილაბუსში არ იყო ცალკე წარმოდგენილი მეთოდი, რომელიც უკავშირდებოდა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს და ტექნოლოგიებზე დაფუძნებულ მეთოდებს. აღნიშნული გამომდინარეობდა იქედან რომ აღნიშნულ მეთოდებს მოიცავდა პრეზენტაცია და აღნიშნული მეთოდების გარეშე სტუდენტი ვერ შეძლებდა პრეზენტაციის წარდგენას. აღსანიშნავი იყო, რომ დაწესებულებამ ასევე გაიარა მონიტორინგის შეფასება სადაც კიდევ უფრო მეტი გულისყურით განხორციელდა რეკომენდაციების გათვალისწინება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:23
დასრულების დრო: 17:19

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[6] მუხლის მე-2- 2[11] პუნქტების საფუძველზე ცნობად იქნეს მიღებული შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ინგლისური ფილოლოგიის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ წარმოდგენილი ანგარიში.

საბჭოს სხდომას 17:00 საათზე შემოუერთდნენ აკრედიტაციის საბჭოს მოწვეული წევრები.

4. მეოთხე საკითხი: შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის "დიპლომირებული მედიკოსის" ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსო Medical Doctor
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	ახალი
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	-
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-

6	უმაღლესი განათლების საფეხური	ერთსაფეხურიანი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მეშვიდე
9	კვალიფიკაციის დასახელება	დიპლომირებული მედიკოსო Medical Doctor
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0912 - მედიცინა 0912 - Medicine
12	სწავლების ენა	ინგლისური
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	360
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, ტბეთის ქ.4.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლსიურენოვანი ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამა გახლდათ ახალი პროგრამა, აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 ოქტომბერს, მან მადლობა გადაუხადა დაწესებულების წარმომადგენლებს იმისათვის რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა დაეთავლიერებინა სასწავლო რესურსები და შეხვედროდნენ დაინტერესებულ მხარეებს, ვიზიტი წარიმართა აკრედიტაციის სტანდარტების ირგვლივ, რაც კარგი მოდელი იყო შეფასების განსახორციელებლად, პირველ დღეს განხორციელდა ინტერვიუები სხვადასხვა ჯგუფებთან, ხოლო მეორე დღეს შედგა მატერიალური რესურსების დათვალიერება და ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების ხელმძღვანელობას გააცნო ძირითადი მიგნებები. ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა პროგრამის არაერთი ძლიერი მხარე, რომლის შესახებ გადმოცემულია დასკვნაში, ამავე დროს დასკვნაში წარმოდგენილია

საკითხები, რომლებზეც ექსპერტების მოსაზრებით საჭირო იყო ყურადღების გამახვილება და გადმოცემულია რეკომენდაციების და რჩევების სახით.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ გარკვეული აცდენები ფიქსირდებოდა სწავლა-სწავლების მეთოდებში, პროგრამაში წარმოდგენილი იყო სწავლა-სწავლების მრავალი ინტერაქტიული და აქტიური მეთოდი, თუმცა სილაბუსებში მითითებული იყო მხოლოდ ლექცია და სემინარი. აღნიშნული ეხებოდა როგორც პრეკლინიკურ ასევე კლინიკურ სილაბუსებს. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ორივე ფაზის სილაბუსები სადაც ფიქსირდებოდა აღნიშნული ხარვეზები. ასევე, სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგები ხშირ შემთხვევაში არ იყო სწავლა-სწავლების მეთოდების შესატყვისი. კლინიკურ ფაზაზე საჭირო იყო ყურადღების გამახვილება სილაბუსებში მითითებული სწავლა-სწავლების ისეთ მეთოდზე, როგორიც იყო მინდობილი პროფესიული აქტივობა. აღნიშნული მეთოდი საერთაშორისო გაგებით და დარგობრივი მახასიათებლის განმარტებით გულისხმობდა იმას, რომ სტუდენტი ან რეზიდენტი შეძლებდა ემოქმედა დამოუკიდებლად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ სილაბუსში აღნიშნული მეთოდის განმარტება იყო განსხვავებული სტანდარტული განმარტებისგან. პრობლემას არ წარმოადგენდა მხოლოდ ტერმინოლოგია არამედ უშუალოდ მეთოდის განმარტება და მისი სწორად გაგება. აღნიშნული კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა კლინიკური ფაზის განათლების ხარისხს. მას კარგად ესმოდა რომ კანონმდებლობიდან გამომდინარე საქართველოში არსებობდა განსხვავებული კონტექსტი და შესაძლოა არ აძლევდა სტუდენტებს საშუალებას ემოქმედა დამოუკიდებლად, თუმცა როდესაც დაწესებულება სილაბუსში უთითებდა მინდობილი პროფესიული აქტივობის მეთოდს, იგულისხმებოდა რომ მას უნდა ჰქონოდა შესაძლებლობა დაეცვა აღნიშნული მეთოდის სრული პრინციპი.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ ექსპერტებმა ყურადღება გაამახვილეს სემინარების გამოყენებაზე სწავლების პრეკლინიკურ ფაზაში. ხშირ შემთხვევაში სემინარი მითითებული იყო როგორც ლექციის ძირითადი მეთოდი, თუმცა არ იყო ნათელი თუ როგორ წარიმართებოდა სემინარი. ასევე შუალედური გამოცდა მითითებული იყო როგორც სემინარის ნაწილი, თუმცა გაუგებარი იყო რა კავშირში იყო შუალედური შეფასება სემინართან. რაც შეეხებოდა შეფასების მეთოდებს, ფაკულტეტის წარმომადგენლებთან გასაუბრების დროს როდესაც საუბარი შეეხო თანამედროვე შეფასების მეთოდებს გამოიკვეთა რომ მათი წარმოდგენა შეფასების მეთოდებზე არ შეესაბამებოდა სტანდარტულ მნიშვნელობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ აუცილებელი იყო ფაკულტეტზე განხორციელებული ყოფილიყო შეფასების მეთოდებთან დაკავშირებული ვორქშოფები და ტრენინგები აკადემიური პერსონალისათვის.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ პროგრამას ჰქონდა მულტიდისციპლინური ინტეგრაციის დონე, უნივერსიტეტს მცირე ზომის ინტეგრირებული კურსებისათვის განსაზღვრული ჰქონდა გადალახვის მინიმალური ზღვარი, რაც კარგი მიდგომა იყო, თუმცა საინტერესო იყო თუ როგორ გაუმკლავდებოდა ადმინისტრაცია სტუდენტების რაოდენობას რომლებიც ჩააბარებდნენ მთლიან კურსს მაგრამ ჩაიჭრებოდნენ ზოგიერთ საგანში. აღნიშნული იქნებოდა სერიოზული გამოწვევა ორგანიზების თვალსაზრისით. ასევე დაწესებულება წარმოადგენდა საკმაოდ დახვეწილ მოდელს სტუდენტების პროგრესიასთან დაკავშირებით, თუმცა ეს ნიშნავდა, რომ დაწესებულებას უნდა შეეფასებინა სტუდენტის სრული მონაცემები და შემდგომ მიეღო გადაწყვეტილება სტუდენტის მიერ პროგრამის დასრულების შესახებ, თუმცა თვითშეფასების ანგარიშის და საგანმანათლებლო პროგრამის თანახმად, არ იყო გათვალისწინებული არანაირი ფორმალური შეფასება და უკუკავშირი სტუდენტისადმი სწავლების პროცესში პროგრამის დასრულების ეტაპამდე. მისი საბოლოო მოსაზრებით, თუ დაწესებულება გეგმავდა დაენერგა ინოვაციეური სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები, მათ უნდა ჰყოლოდათ შესაბამისი რაოდენობის

პერსონალი ყველა დონეზე. წინააღმდეგ შემთხვევაში აღნიშნული გამოიწვევდა შეცდომებს, გამოწვევებს და მსხვილ პრობლემებს აღნიშნული მოდელის სრულყოფილად განხორციელებისათვის.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ ექსპერტთა ჯგუფის პასუხისმგებლობას არ წარმოადგენდა ემსჯელა პროგრამის საბოლოო ხარისხზე და სტატუსზე, თუმცა მათ წარმოადგინეს თავიანთი შეფასება რესურსების, სტუდენტების მოსალოდნელი რაოდენობის თანაფარდობასთან დაკავშირებით. როგორც მათთვის იყო ცნობილი დაწესებულება გეგმავდა ყოველწლიურად 1080 სტუდენტის ჩარიცხვას, კლასების რაოდენობა საკმარისი იყო, თუმცა ის წარმოადგენდა დამატებით დეტალებს სტუდენტების რაოდენობის ადეკვატურობასთან დაკავშირებით. დაწესებულებას ჰქონდა კარგად აღჭურვილი ორი აუდიტორია, რომლიც გათვალისწინებული იყო 90 სტუდენტზე, თუმცა თვითშეფასების თანახმად აღნიშნული აუდიტორიების გამოყენება იგეგემებოდა დღეში 10 საათი, რაც გულისხმობდა რომ თუ ლექცია დაიწყებოდა 9:00 საათზე და უნდა დასრულებულიყო 21:00 საათზე დაწესებულების გამოთვლების შესაბამისად. მისი გამოცდილებით არ იყო მარტივი დავალება მოეთხოვათ სტუდენტებისათვის გვიან საღამომდე ყოფილიყვნენ უნივერსიტეტში იმისათვის რომ ესწავლათ მედიცინა. რაც შეეხებოდა სემინარების აუდიტორიებს, მან შეაჯამა სემინარების რაოდენობა პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში. მაგალითისათვის, პირველ სემესტრში დაახლოებით 260 საათი, მეორე სემეტრში 284 საათი, ხოლო მესამე სემესტრში 194 საათი უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი აუდიტორიები სემინარებისათვის. მისი გამოთვლები განსხვავდებოდა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კალკულაციისაგან. შესაბამისად, მისი მოსაზრებით მატერიალური რესურსების შესაბამისობა სტუდენტების დიდ რაოდენობასთან შესაძლოა არ ყოფილიყო რელევანტური. რაც შეეხებოდა სტუენებისათვის საგნების მიწოდებას, როგორიც იყო მაგალითად „პროფესიონალიზმი A-C", "კომუნიკაცია და კოლაბორაცია A-C" რაც წარმოადგენდა საკმაოდ კარგ ინიციატივას, თუმცა როდესაც ექსპერტებმა შეისწავლეს „პროფესიონალიზმი A" რომელსაც სტუდენტები გაივლიდნენ პრეკლინიკურ ფაზაში მესამე სემესტრში, შინაარსობრივად მოიცავდა ქირურგიის თემებს რაც არ იყო შესაბამისი. დაწესებულების განმარტებით აღნიშნული თემატიკა გათვალისწინებული იყო ქირურგიაში პროფესიონალიზმის განვითარების მიზნით. აღსანიშნავი იყო, რომ პროფესიონალიზმი ქირურგიაში არ უკავშირდებოდა პროფესიულ ქირურგიას და არ იყო მართებული სწავლების ადრეულ ეტაპზე ქირურგიის სიღრმისეული თემატიკის ინტეგრირება მესამე სემესტრში.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი შეჯამება განსხვავდებოდა დასკვნიგან და ძირითადი მიგნებების გაცნობის დროს წარმოდგენილი ინფორმაციისაგან. დაწესებულებას სულ ცოტა ხნის წინ გავლილი ჰქონდა ავტორიზაციის რთული მაგრამ წარმატებული პროცესი, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნამ მათ მისცა საშუალება განსხვავებულად დაენახათ საგანმანათლებლო პროგრამა, მათ ჰქონდათ ბრიტანელი ექსპერტის მიერ განხორციელებული გარე შეფასება, რომელიც მიეწოდათ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფს. დაწესებულება სრულად იაზრებდა პროგრამის მნიშვნელობას, მათი განაცხადი ეფუძნებოდა ბაზრის კვლევას და რეგიონის საჭიროებებს, მათ ძლიერ მხარეს წარმოადგენდა თანამშრომლობა ოთხ მრავალპროფილურ კლინიკასთან რეგიონში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ ყურადრება გაამახვილა პროფესიონალიზმის ბლოკზე, რომელიც განაწილებულ იყო სამ ფაზაში, საბაზისო პრეკლინიკურ და კლინიკურ ფაზაში. ქირურგიული ნაწილი საბაზისო ფაზაში არ გულისხმობდა ქირურგიულ მანიპულაციებს, იგულისხმებოდა ქირურგიაში უსაფრთხოების, ინფექციების პრევენციის საკითხები და უნარ-ჩვევების დასაწყისშივე გაცნობიერება.

პროფესიონალიზმის მნიშვნელოვან ქვაკუთხედს წარმოადგენდა უსაფრთხოების ცნება, შესაბამისად საბაზისო ფაზაში, ქირურგიის მიმართულებით მინიმალური უსაფრთხოების პრინციპების დანერგვა გადამწყვეტი იყო პროფესიონალიზმის განვითარებაში. რაც შეეხებოდა სილაბუსების გადახედვას სწავლა-სწავლების მეთოდების სწავლის შედეგებთან მორგების მიზნით, ნამდვილად ყველაზე დიდ გამოწვევას წარმოადგენდა რელევანტურობა სწავლების მეთოდებსა და სწავლის შედეგებს შორის, ვინაიდან რთული იყო მისი პრაქტიკაში განხორციელება. ვინაიდან პროგრამა ჯერ არ ხორციელდებოდა, მათ მოახდინეს რელევანტურობის დადასტურება პროგრამის მიზანთან და სწავლის მეთოდებთან. ასევე გათვალისწინებული იყო მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. რაც შეეხებოდა თანამედროვე სწავლის მეთოდებს, როგორც იყო პირდაპირი დაკვირვების მეთოდი და სხვადასხვა წყაროდან მიღებული უკუკავშირის მეთოდი გათვალისწინებული იყო მინიმუმ 5 სილაბუსში. შესაბამისად, მას რჩებოდა შთაბეჭდლიება რომ სრულყოფილად არ იყო შესწავლილი სააკრედიტაციო პაკეტში წარმოდგენილი სილაბუსები და დოკუმენტაცია.

აღსანიშნავი იყო, რომ საბოლოო ჯამში დასკვნაში წარმოდგენილი რეკომენდაციები დადიოდა არსებულ ერთეულ სილაბუსში მოცემულ ტექნიკურ ან ტერმინოლოგიასთან დაკავშირებულ გაუმართაობამდე, რაც არ ასახავდა პროგრამით გათვალისწინებული შედეგების მიღწევადობის შეუძლებლობას და არ იყო რელევანტური იმაზე საუბარი მოახდენდა თუ არა აღნიშნული ხარვეზები პროგრამის განხორციელებაზე და მის ხარისხზე გავლენას. მისი განცხადებით უმჯობესი იქნებოდა დასკვნაში მითითებული ყოფილიყო კონკრეტული სილაბუსები, რომლებიც იგულისხმებოდა რეკომენდაციებში. ექსპერტის რეკომენდაცია იყო დაწესებულებას არ გადმოეკოპირებინა სტანდარტში არსებული მეთოდები პროგრამაში, ხოლო როდესაც მათ თავიანთი ინტერპრეტაციით განმარტეს მინდობილი პროფესიული პრაქტიკის მეთოდი, აღნიშნულმა გამოიწვია ექსპერტის უკმაყოფილება. აღსანიშნავი იყო, რომ არსებული განმარტება მინდობილი პროფესიული აქტივობის მეთოდის მორგებული იყო საქართველოს კანონმდებლობას. აღნიშნული მეთოდი შესაძლებელი იყო განსაზღვრული ყოფილიყო როგორც ინტერვენციით (ქირურგიული მეთოდი), ასევე მინდობილი აქტივობით, როდესაც სტუდენტი დამოუკიდებლად კრებდა ანამნეზს და კომუნიკაციაში შედიოდა პაციენტთან წინასწარი დიაგნოზის ფორმულირებისათვის. კანონმდებლობის თანახმად დასაშვები იყო, რომ არაინვაზიური მეთოდები განხორციელებულიყო დამოუკიდებლად.

რაც შეეხებოდა შეფასების სისტემას და პროგრესიის შესახებ უკუკვაშირს ექსპერტის მხრიდან, მათთვის იყო მოულოდნელი, თუმცა მათ მომზადებული ჰქონდათ აღნიშნულთან დაკავშირებით პასუხი. მათ ჰქონდათ ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დოკუმენტი, რომლის თანახმად იმისათვის რომ სწავლების თითოეულ ეტაპზე ჯამურად მოეხდინათ გარკვეული შედეგების შეჯამება და არ გამორჩენოდათ თითოეულ სილაბუსში ასახული რომელიმე შეფასება, მათ შეიმუშავეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების რუქა, სადაც განმარტებული იყო თუ რომელი საგნით მიიღწეოდა კონკრეტული შედეგი, მითითებული იყო სამიზნე ნიშნული, ფორმა და დრო თუ როდის ფასდებოდა კონკრეტული შედეგი. დეპარტამენტიდან გამოყოფილი იყო პასუხისმგებელი პირი, რომელიც კონკრეტული შედეგის მიღწევაზე იყო პასუხისმგებელი.

რაც შეეხებოდა რეკომენდაციას პროგრამის გეგმის ცვლილებასთან დაკავშირებით, კურიკულუმი გახლდათ ცოცხალი ორგანიზმი და შესაძლებელი იყო სამომავლოდ მასში განხორციელებული ყოფილიყო გარკვეული ცვლილებები. ინტეგრირებულ კურსებზე სხვადასხვა საგნის ჩაბარების მინიმალური ზღვარი განმარტებული იყო დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ვიზიტზე როგორც ზეპირსიტყვიერად ასევე შესაბამისი დოკუმენტით, რომელშიც გამოსახული იყო თუ როგორ განისაზღრებოდა მათემატიკური დათვლის საფუძველზე თანაფარდობა და მინიმალური ბარიერი, რაც გამორიცხავდა სუბიექტურ შეფასებებს. ასევე ერთ-ერთ რეკომენდაციაში აღნიშნული იყო, რომ შეფასების მეთოდების თაობაზე აკადემიური პერსონალის გარკვეულ ნაწილს ჰქონდა ბუნდოვანი წარმოდგენა, თუმცა დაწესებულების დაარსებამდე და მას მერეც დაწესებულებას განხორციელებული ჰქონდა

არაერთი ტრენინგი ინტეგრირებული კურიკულუმის იმპლემენტაციასთან, სტანდარტებთან, შეფასების მეთოდებთან, დარგობრივი მახასიათებლის გაცნობასთან დაკავშირებით და ა.შ. მაგალითისათვის აღსანიშნავი იყო სამედიცინო სიმულაციის კურსი, რომელიც დაიგეგმა თურქეთში და გადამზადებაში მონაწილეობა მიიღო მათმა ხუთმა თანამშრომელმა. ასევე მათ ბიუჯეტში საკმაოდ დიდი თანხა იყო გათვალისწინებული ადამიანური რესურსის გადამზადებისათვის.

რაც შეეხებოდა მატერიალურ რესურსს, დასკვნაში წარმოდგენილი იყო რეკომენდაცია კონდიცირებასთან დაკავშირებით, თუმცა აკრედიტაციის ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ მატერიალური რესურსი შეფასდა როგორც საკმარისზე მეტი, მათ ჰქონდათ 15 OSCE გამოცდის სადგური, მე-15 სადგური გახლდათ კომუნიკაცია-კოლაბორაციის შეფასებისათვის განკუთვნილი, რომლიც ფასდებოდა პირველივე სემესტრში. რაც შეეხებოდა რეკომენდაციას სტუდენტების რაოდენობასთან დაკავშირებით, მათ წარმოდგენილი ჰქონდათ დოკუმენტი, რომელიც პროგრესიის შესაბამისად გამოხატავდა თანაფარდობას სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული, ადმინისტრაციული პერსონალის რაოდენობასა და ფართს შორის 2023-2029 წლებში. ფართთან დაკავშირებით არ არსებობდა დადგენილი სტანდარტი, თუმცა მათ განსაზღვრული ჰქონდათ 3 კვ.მ ერთ სტუდენტზე, რაც სრულიად საკმარისი იყო. დაწესებულების ფართი შეადგენდა 20901 კვ.მ-ს, 2776 კვ.მ განკუთვნილი იყო დიდაქტიკური მეთოდებით განსახორციელებელი სწავლებისთვის, მათ შორის იყო ორი 90 სტუდენტზე გათვლილი აუდიტორია, 20 აუდიტორია გათვლილი იყო 15 სტუდენტზე, 15 აუდიტორია 6 სტუდენტისათვის და 16 აუდიტორია 12 სტუდენტისათვის. პროგრამაში ჩაერთვებოდა 53 აკადემიური და 101 მოწვეული პერსონალი. გამოყენებული იყო არსებული ბიუჯეტის 80% და ჯამში 3 მილიონი გათვლილი იყო სტრატეგიულ გეგმაში ყოველწლიურად 20-25% ზრდის მაჩვენებლით. შეფერხების გარეშე, არსებული რესურსით პროგრამაზე შესაძლებელი იყო მინიმუმ 1350 სტუდენტის მიღება ორ ცვლად, რაც არ გულისხმობდა ერთი და იგივე ჯგუფის ორ ცვლაში დატვირთვას, არამედ გულისხმობდა სხვადასხვა ჯგუფების ორ ცვლაში განაწილებას, ვიზიტის შემგომ მოთხოვნის შესაბამისად ექსპერტებს გადაეგზავნათ წინასწარ შედგენილი ორი წლის დატვირთვის ცხრილი, რომელიც ისე იყო გაწერილი, რომ გამორიცხული იყო დამთხვევა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ მიმართა ექსპერტებს და განაცხადა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაციის მიხედვით საჭირო იყო ფაქტიურად ყველა სილაბუსის გადახედვა სწავლა-სწავლების მეთოდების და სწავლის შედეგების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. მას სურდა მოესმინა ექსპერტების პოზიცია აღნიშნული რეკომენდაციის ფონზე რამდენად მიღწევადი იყო პროგრამის მიზნები და კომპეტენციები, რომელიც გაწერილი იყო დარგობრივი მახასიათებლით.

ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ არ იყო მარტივი სწავლა-სწავლების მეთოდების რელევანტურობის შეფასება, მაშინ როდესაც ისინი გადმოცემულია მხოლოდ ფურცელზე, არ არიან წარმოდგენილი სტუდენტები და შეუძლებელია რეალური პრაქტიკის და შესაძლებლობების შეფასება. აღნიშნული გახლდათ გამოწვევა ყველა ახალი პროგრამისათვის, თუმცა ფაკულტეტის წარმომადგენლები და კოლეგები შეეცადნენ დაერწმუნებინათ ექსპერტები იმაში, რომ მათ ეყოლებოდათ კომპეტენტური კურსდამთავრებულები. მისი მოსაზრებით შესაძლოა ასეც ყოფილიყო, თუმცა საჭირო იყო სწავლა-სწავლების მეთოდების გადახედვა და დახვეწა.

საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს განემარტა თუ რომელი ფაზისათვის იქნებოდა პრობლემა 1080 სტუდენტის სწავლება, საბაზიო, პრეკლინიკური თუ კლინიკური ფაზისთვის.

ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ ძირითად პრობლემას წარმოადგენდა სტუდენტების რაოდენობა პრეკლინიკურ ფაზაში, როდესაც ლექციებს შეემატებოდნენ

სტუდენტები. თუმცა დადებით კონტექსტში იყო აღსანიშნავი საბაზისო ფაზა, სადაც სტუდენტები სათანადოდ იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი კლინიკებით.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ როგორც თვითშეფასებაში იყო აღნიშნული მულტიპროფილური კლინიკა ვერ ფარავდა სრულად ყველა ძირითად მიმართულებას, მოწოდებულ დოკუმენტაციაში მან ვერ მოიძია მემორანდუმების სრული პაკეტი, თუმცა გაეცნო ორ ხელშეკრულებას, რომლებიც გაფორმებული იყო „ინოვაციური მედიცინის საუნივერსიტეტო კლინიკასთან“ და „მაღალტექნოლოგიური ჰოსპიტალის მედ-ცენტრთან“, თუმცა არ იყო წარმოდგენილი მოთხოვნები, რომელიც სავალდებულო იყო დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პრევენციიდან რეაბილიტაციამდე ყველა სერვისს ფარავდა ერთი მულტიპროფილური და სამი პირველადი ჯანდცვის კლინიკა, დარჩენილი იყო სამი სფერო ფსიქიატრია, ინფექციური და სამშობიარო - სამეანო მიმართულებები, რომლებიც გათვალისწინებული იყო მემორანდუმებით. აღნიშნულ მემორანდუმებს გაეცნენ ექსპერტები და შესაძლებელი იყო მათი გაზიარება საბჭოს წევრებთანაც.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი 54 აკადემიური პერსონალიდან 23 იყო დოქტორანტი. მას აინტერესებდა როგორ მოახერხებდნენ აღნიშნული პირები თავიანთი კვლევითი საქმიანობის პარალრლურად სწავლების განხორციელებას ახალ პროგრამაზე, სადაც საჭირო იყო მეტი პასუხისმგებლობა, ტრენინგების გავლა და ა.შ.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ ადამიანური რესურსი წარმოადგენდა მათ მთავარ გამოწვევას, თუმცა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მოახერხა რეგიონში კადრების აკუმულირება, რაც მნიშვნელოვანი იყო პროგრამის მდგრადობისათვის. აკადემიური პერსონალი დათანხმდა მათთან თანამშრომლობას და აფილირებას ვინაიდან უნივერსიტეტი მათ სთავაზობდა პრაქტიკული, პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას ერთ სივრცეში. კვლევის მიმართულებით დასავლეთის რეგიონში მათ ჰქონდათ ყველაზე დიდი პათო-მორფოლოგიური არქივი.
საბჭოს წევრმა, ხათუნა თოდაძემ განაცხადა, რომ სწავლის პირამიდაში 80% მითითებული იყო სხვისი სწავლება. მან სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს განემარტა თუ რა იგულისხმებოდა სხვის სწავლებაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ ფიქსირდებოდა ხარვეზი ტერმინოლოგიის თარგმანის დროს, პირამიდის 80%-ში იგულისხმებოდა სწავლება, ხოლო 20% გულისმობდა თვითსწავლებას, ვინაიდან პროგრამაში რამოდენიმე საგანი ორიენტირებული იყო თვითმიმართულ სწავლებაზე.
საბჭოს წევრი, ხათუნა თოდაძე დაინტერესდა პროგრამაში გათვალისწინებული 12 კრედიტი, რომელიც განკუთვნილი იყო უცხოენოვანი სტუდენტებისათვის ქართული ენის დასაუფლებლად, იქნებოდა თუ არა არჩევითი ქართველი სტუდენტებისათვის.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ ქართველი სტუდენტებისათვის აღნიშნული 12 კრედიტი იქნებოდა არჩევითი სავალდებულო და მათ ექნებოდათ შესაძლებლობა აერჩიათ სხვადასხვა ევროპული, ჩინური და აზიური ენები. ხოლო უცხოენოვანი სტუდენტისათვის ქართული ენის შესწავლა იქნებოდა სავალდებულო.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას საკმაოდ მცირე დროით ადრე გავლილი ჰქონდა ავტორიზაცია და საკმაოდ მოკლე დროში იყო წარმოდგენილი პროგრამა სააკრედიტაციოდ. დაწესებულებას ექნებოდა არც თუ ისე ხანგრძლივი პერიოდი სრულად გაეთვალისწინებინა ავოტიზაციის პროცესში გაცემული რეკომენდაციები და რჩევები. ავტორიზაციის დასკვნის თანახმად ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა აკადემიური პერსონალის კომპეტენციას. პროგრამის თვითშეფასების ამგარიშის თანახმად ერთ-ერთ ძლიერ

მხარეს წარმოადგენდა კვლევის და ინტეგრაციის მაღალი დონე. მას აინტერესებდა რამდენად ლოგიკური იყო ავტორიზაციის დასკვნისა და ძლერ მხარეებში აღნიშნული გარემოებების თანხვედრა.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ მისი პერსპექტივით კვალიფიკაცია არ ნიშნავდა მინიჭებულ ხარისხს. პროგრამა ინტეგრირებული იყო ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, სტუდენტებს ჰქონდათ ტრანსფერული, სამეცნიერო უნარების გამომუშავების შესაძლებლობა. თუმცა, როდესაც იგეგმებოდა მაღალი დონის პროგრამის განხორციელება დაწესებულებაში დიდი ყურადღება ექცეოდა ფაკულტეტის წევრების კომპეტენციას. სწორედ ამიტომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაცია აკადემიური პერსონალის გადამზადებისათვის უფრო მეტი ტრენინგების ჩატარების თაობაზე.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ ავტორიზაციის დასკვნის თანახმად რეკომენდირებული იყო მემორანდუმების გადახედვა. მას აინტერესებდა შეისწავლეს თუ არა ექსპერტებმა არსებული მემორანდუმები და შეესაბამებოდა თუ არა დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.
ექსპერტმა ირინე ფხაკაძემ განაცხადა, რომ პროგრამა იყო ახალი, პროგრამის განმახორციელებელ პირებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული თავიანთი როლი პროგრამაში და მათი როლი პროგრამის განვითარებისათვის. კლინიკური ბაზების და გარემოს თვალსაზრისით დაწესებულებას არ ჰქონდა პრობლემა.
ექსპერტმა თამარ გოდერიძემ განაცხადა, რომ კლინიკურ ბაზებებზე დასაქმებული იყო საკმაოდ მაღალკვალიფიციური პერსონალი, რაც დადასტურდა ინტერვიუების დროს. ასევე მისი მოსაზრებით დაწესებულებას არ უნდა შექმნოდა პრობლემა 1080 სტუდენტის მიღების შემთხვევაში არსებული რესურსებიდან გამომდინარე.
საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ განაცხადა, რომ თვითშეფასებაში ძლიერ მხარედ მითითებული იყო რომ უნივერსიტეტი უზრუნველყოფდა კურსდამთავრებულების გარანტირებულ დასაქმებას. მას აინტერესებდა, რამდენად მზად იყო უნივერსიტეტი მიეცა ასეთი სახის გარანტია სტუდენტისათვის. ასევე აკადემიური პერსონალის უმრავლესობა წარმოდგენილი იყო სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. 2023 წლის 1 სექტემბრიდან აღნიშნული უნივერსიტეტის რეგულაციებით პერსონალს ეზღუდებოდა სხვა დაწესებულებაში მუშაობის შესაძლებლობა. მას აინტერესებდა როგორ გაუმკლავდა დაწესებულება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ რეგიონში იყო კადრების დეფიციტი, შესაბამისად კურსდამთავრებულის სურვილის შემთხვევაშის შესაძლებელი იყო მათი დასაქმება. რაც შეეხებოდა აკადემიურ პერსონალს, უმეტესობამ უარი განაცხადა „ა“ კონტრაქტზე და განახორციელეს აფილირება მათ უნივერსიტეტში.
მოწვეულმა საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ განაცხადა, რომ დაწვრილებით შეისწავლა პროგრამა, რომელიც აგებული იყო ძირითად ტრადიციულ სქემაზე თუმცა ახლებური ხედვით, საინტერესოდ იყო წარმოდგენილი თითოეული შედეგის განვითარება. მას ჰქონდა კითხვა შეფასებასთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ უკავშირდებოდა შედეგების მიღწევას. მას სურდა მოესმინა დაწესებულების პოზიცია შეფასების ფრაგემენტულობასთან დაკავშირებით, როგორც ეს აღნიშნა საერთაშორისო ექსპერტმა და ასევე განემარტა თითოეული საგნისათვის განსაზღვრული შეფასების ზღვარი და რა შედეგი დადგებოდა თუკი რომელიმე საგანში სტუდენტი ვერ მიიღებდა დადებით შეფასებას. ასევე მან აღნიშნა, რომ მინდობილი პროფესიული პრაქტიკა სიახლე იყო ქართული მედიცინის სფეროსათვის, მისი განხორციელება საკმაოდ რთული იყო ვინაიდან მოიცავდა კომბინირებული შეფასების მეთოდს და მისაღწევი შედეგი ყალიბდებოდა კომბინირებულად და არა ცალკეულად. მას აინტერესებდა თუ რომელ კურსებში გამოიყენებოდა მინდობილი პროფესიული პრაქტიკის მეთოდი, როგორ იყო ფორმულირებული და როგორი კრიტერიუმებით ხდებოდა მისი შეფასება. ასევე მას აინტერესებდა თვითსწავლება გულისხმობდა თუ არა დამოუკიდებელ სწავლებას ან ხომ არ

იყო რომელიმე კურსში გარკვეული ნაწილი, რომელიც სტუდენტს უნდა აეთვისებინა დამოუკიდებლად, იღებდა თუ არა აღნიშნულ აქტივობაში შეფასებას და საბოლოო ჯამში გადიოდა თუ არა შედეგზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სოფიო ბერიძემ განაცხადა, რომ მოდულში თავმოყრილი იყო საბაზისო და პრეკლინიკური კომპონენტები, რაც განაპირობებდა მრავალფეროვან შეფასებას იმისათვის, რომ არ ყოფილიყო აცდენა და ერთიან შეფასებაში არ დაკარგულიყო ქვესაგნის სპეციფიკა. სწავლის მარეგულირებელი წესის მიხედვით სტუდენტს თითოეულ კომპონენტში ჩაჭრის შემთხვევაში ეძლეოდა მიმდინარე პერიოდში გადაბარების შესაძლებლობა. ასეთი შესაძლებლობა სტუდენტს ეძლეოდა როგორც მოდულის ასევე სემესტრის დასრულებამდე იმისათვის რომ არ ჩამორჩენილიყო მოდულს. მინდობილი პროფესიული აქტივობის მეთოდი გამოიყენებოდა კლინიკური პრაქტიკის მოდულებში: გინეკოლოგია, ქირურგია, შინაგანი მედიცინა, ინტენსიური თერაპია.
საერთაშორისო ექსპერტმა, აზიმ მირზაზადეჰმა განაცხადა, რომ დარგობრივი მახასიათებლის მიხედვით მინდობილი პროფესიული აქტივობა გულისხმობდა მინდობილ პროფესიულ აქტივობას, რომელიც მოიცავდა კომპეტენციების კომბინაციას და სტუდენტები მინდობილი იქნებოდნენ ემოქმედათ ზედამხედველობის გარეშე, მას შემდეგ რაც მათ ექნებოდათ დამოუკიდებლად მოქმედებისათვის ყველა საჭირო კომპეტენცია. დაწესებულება აღნიშნულ მეთოდს განსაზღვრავდა განსხვავებული კონტექსტით. კერძოდ, სტუდენტი განახორციელებდა სხვადასხვა აქტივობას, რაც მისცემდა მათ საშუალებას გაეძლიერებინათ სამედიცინო პრაქტიკა და თეორიული ცოდნა სხვადასხვა სიტუაციაში, იქნებოდა ეს საოპერაციო ბლოკი თუ გადაუდებელი დახმარების ბლოკი, სადაც ისინი იმოქმედებდნენ დამოუკიდებლად. მან განაცხადა, რომ ნამდვილად აღნიშნული მეთოდის განხორციელება არ იყო მარტივი, მაგრამ თუ მოხდებოდა პროგრამაში მისი იმპლემენტაცია ის უნდა ყოფილიყო სწორად გაგებული და არ შეიძლებოდა კონტექსტის შეცვლა. ასევე მან აღნიშნა, რომ სხვადასხვა მოდულებში სტუდენტების ჩაჭრის შემთხვევაში დაწესებულებას უნდა შეემუშავებინა სწორი რეგულაციები თუ როგორ გაუმკლავდებოდა დიდი რაოდენობის სტუდენტების მიერ გამოცდების გადაბარების პროცესებს. მისი მოსაზრებით დასკვნაში ასახული შეფასება მიმართული იყო მხოლოდ და მხოლოდ პროგრამის დახვეწისკენ და კარგი იქნებოდა თუ დაწესებულება ექსპერტების პოზიციას მიიღებდა მხედველობაში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:22
დასრულების დრო:20:25

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:შპს ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის „დიპლომირებული მედიკოსის“ ინგლისურენოვანი ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამისთვის ვლასტერის ვადით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ საკითხი, 2 წლის თავზე მონიტორინგის განხორციელების პირობით. საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა აკრედიტაციის ვადის განმავლობაში განესაზღვროს 1080-ით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 31
წინააღმდეგი - 1

საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოდ, 4.4 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „ნაწილობრივ შესაბამისია მოთხოვნებთან“, შესაბამისად შეიცვალა მე-4 სტანდარტის

შეფასება და განისაზღვრა, როგორც „მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, 5.1. კომპონენტის შეაფასება ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, განსაზღვრა, როგორც „ მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა არ შეიცვალა მე-5 სტანდარტის შეფასება.

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 3^3 და მე-5 პუნქტების, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$ “ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის „სამუსიკო შემსრულებლობის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის (31/12/2027) ვადით, 2 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით, ხოლო სტუდენტთა ადგილების ზღვრულ რაოდენობას აკრედიტაციის ვადის განმავლობაში განისაზღვროს 1080-ით.

საბჭომ განსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ზოგიერთი სილაბუსების გადახედვა, რათა დაზუსტდეს შინაარსი და სწავლის შედეგები, პროგრამის სტრუქტურაში მათი ადგილმდებარეობის (სემესტრის) მიხედვით („სტუდენტიდან ექიმამდე – პროფესიონალიზმი ა“);
- არსებითად გადაიხედოს სილაბუსების უმრავლესობა, რათა სწავლებისა და სწავლის მეთოდები მოერგოს მითითებულ სწავლის შედეგებს;
- გამოსწორდეს შეცდომები ან ბუნდოვანება სწავლებისა და სწავლის მეთოდების განმარტებებში;
- სტუდენტის შეფასების სისტემის განმავითარებელი ასპექტების შემუშავება, განსაკუთრებით სტუდენტის პროგრესის შესახებ უკუკავშირის მიწოდება მანამდე, სანამ საბოლოო გადაწყვეტილება მის მიერ სასწავლო კურსის დამთავრების თაობაზე არ იქნება მიღებული;
- პროგრამის გეგმის ცვლილება, რათა განისაზღვროს ინტეგრირებულ კურსებზე სხვადასხვა საგნებისთვის ჩაბარების მინიმალური ზღვარი ან განიმარტოს პროგრამაში მისი პრაქტიკული განხორციელება;
- მიუხედავად იმისა, რომ პროგრამასა და სილაბუსებში არის ნახსენები სტუდენტების შეფასების რამდენიმე თანამედროვე მეთოდი, ეს არ განაპირობებს უნივერსიტეტის პროფესურის მიერ მათ მკაფიო გაგებას. ამაზე დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს რეაგირება, პროფესურის შესაძლებლობათა გაძლიერებაზე ორიენტირებული მეტი ინიციატივით;
- ზოგიერთ აუდიტორიაში მოსაგვარებელია კონდიცირების პრობლემა;
- ყოველწლიურად მისაღები სტუდენტების რაოდენობის გათვალისწინებით (180 სტუდენტი ყოველწლიურად), აუდიტორიების, ოთახების და აღჭურვილობის რაოდენობა არაადეკვატური ჩანს და უნდა დაზუსტდეს, თუკი უნივერსიტეტი დაჟინებით მოითხოვს ასეთი დიდი რაოდენობის სტუდენტების მიღებას ყოველწლიურად;

- რეკომენდებულია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყოს პროგრამის მდგრადობის განმსაზღრელი ყველა ასპექტის შესწავლა და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა.

რჩევები:

- I ფაზის მოდულების ინტეგრაციის დონის კორექტირება ტრანსდისციპლინურიდან ინტეგრაციის უფრო რეალურ დონემდე (მულტიდისციპლინარულამდე);
- სტუდენტების მიღებისას, შეამოწმეთ მედიცინასთან დაკავშირებული საგნების (ბიოლოგია და/ან ქიმია) საბაზისო ცოდნა;
- სასურველია, უნივერსიტეტმა ყოველ მომდევნო წელს აბიტურიენტთა მისაღები კონტინგენტის შესაბამისად გაზარდოს აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა;
- რამდენადაც სტუდენტების რაოდენობა კვლავ იზრდება, უნივერსიტეტმა რეგულარულად უნდა გადაამოწმოს, ჰყავს თუ არა საკმარისი პერსონალი (სასწავლო და ადმინისტრაციული), რათა შენარჩუნდეს სტუდენტებისთვის მისაცემი განათლების ხარისხი.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა დასრულდა 2023 წლის 13 დეკემბრის 20:25 საათზე.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი